საინფორმაციო ბიულეტენი #2

აგვისტო, 2017 წელი

საიას სადამკვირვებლო მისიის შესახებ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო მონიტორინგი 1 ივნისს დაიწყო.

საია წინასაარჩევნო პერიოდს სათაო და რეგიონული ოფისების მეშვეობით, თბილისსა და საქართველოს 8 რეგიონში: აჭარაში, გურიაში, იმერეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და სამეგრელოში აკვირდება.

მონიტორინგის მიზანს, რომელიც **USAID-ის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის - „საქართველოში კონკურენტული, სამართლიანი და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა 2016-2018 საარჩევნო ციკლისთვის“** ფარგლებში ხორციელდება, წარმოადგენს ხელი შეუწყოს:

ობიექტური, სამართლიანი, დამოუკიდებელი და ეფექტური გამოძიების, სამართლიანი სასამართლოსა და ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას და უზრუნველყოს ინკლუზიური და კონკურენტული საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა ქალების, შშმ პირებისა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის. ასევე, გამჭვირვალე საარჩევნო პროცესების ხელშეწყობა, კერძოდ კი საქართველოს მოქალაქეებისა და საერთაშორისო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებულ დარღვევებსა და ტენდენციებზე და ყურადღების გამახვილება ხარვეზებზე, რომელიც თან ახლავს საარჩევნო პროცესებს. საარჩევნო კანონმდებლობაში პრობლემების იდენტიფიცირება და არჩევნების დასრულების შემდეგ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ადვოკატირება.

დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში ორგანიზაცია შესაბამის ინფორმაციას თუ საჩივრებს წარადგენს საარჩევნო ადმინისტრაციაში, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორის კომისიაში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და სხვა შესაბამის უწყებებში, კანონით გათვალისწინებული რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით.

ბიულეტენში ასახულია ის ფაქტები, მოვლენები და დარღვევები, რომლებსაც შეუძლიათ გარკვეული გავლენა მოახდინონ საარჩევნო გარემოზე. მასში მოყვანილი სავარაუდო დარღვევებისა და ფაქტების შესახებ ზოგიერთ ინფორმაციასთან დაკავშირებით საიას დამატებით აქვს გამოთხოვილი ინფორმაცია, რომლის ანალიზის შედეგებსაც, ასევე, გავაცნობთ საზოგადოებას. აგრეთვე, უახლოეს მომავალში, ორგანიზაცია საზოგადოებას წარუდგენს წინასაარჩევნო კონტექსტის და ამ პერიოდში განვითარებული მოვლენების თაობაზე პირველ შუალედურ ანგარიშს.

წინამდებარე საინფორმაციო ბიულეტენი მომზადებულია USAID-ის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის - „საქართველოში კონკურენტული, სამართლიანი და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა 2016-2018 საარჩევნო ციკლისთვის“ ფარგლებში.

მუქარა ახალქალაქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეზე

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2 სექტემბერს, ახალქალაქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ჰასმიკ მარანგოზიანის მიმართ პატრიოტთა ალიანსის რეგიონულმა წარმომადგენელმა, სამველ პეტროსიანმა (საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი) და მისმა შვილმა გიორგი პეტროსიანმა (გამგებლის რწმუნებული) განახორციელეს მუქარა. კერძოდ, აღნიშნული პირები ოლქის თავმჯდომარეს დაემუქრნენ სიცოცხლის მოსპობით, ასევე ოჯახის წევრების უკანონო თავისუფლების აღკვეთითა და ქონების დაზიანებით. ცესკოს განცხადების თანახმად, ზემოაღნიშნული პირების მხრიდან მსგავსი მუქარა ჰასმიკ მარანგოზიანის მიმართ უკვე არაერთგზის განხორციელდა.

ჰასმიკ მარანგოზიანმა აღნიშნული ფაქტი საიას წარმომადგენლებს პირადადაც დაუდასტურა.

გარდა ზემოაღწერილისა, იმავე დღეს, სამველ პეტროსიანმა ქუჩაში მიმავალ ახალქალაქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, პაატა ფანჯიკიძეს, მოპირდაპირე მხრიდან გაუჩერა მანქანა და მოსთხოვა ახსნა-განმარტებები მის საქმიანობასთან დაკავშირებით.

საიას წარმომადგენლებმა ინიციდენტი სამლევ პეტროსიანთანაც გადაამოწმეს. მისი განმარტებით, მუქარას ადგილი არ ჰქონია, თუმცა შეკამათება ჰასმიკ მარანგოზიანთან იმ მოტივით მოხდა, რომ ამ უკანასკნელმა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირის განცხადება დახია, რითაც არ მისცა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო კონკურსში.

სამლევ პეტროსიანის განმარტებით, ინციდენტს საოლქო საარჩევნო კომისიის სხვა წევრებიც შეესწრნენ.

ზემოაღნიშნული ფაქტები, დადასტურების შემთხვევაში, შეიძლება შეიცავდეს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს. წინასაარჩევნო პერიოდში მსგავსი ინციდენტები უარყოფით გავლენას ახდენს უსაფრთხო და თავისუფალ საარჩევნო გარემოზე.

საიამ ზემოაღნიშნულ ფაქტზე დროული რეაგირებისკენ მოუწოდა შემდეგ უწყებებს: სამართალდამცავ ორგანოებს, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორის კომისიას, საარჩევნო ადმინისტრაციას, საარჩევნო სუბიექტებსა და მათ წარმომადგენლებს.

საია აგრძელებს აღნიშნული ფაქტის შესწავლას და დამატებით ინფორმაციას საზოგადოებას უახლოეს მომავალში მიაწვდის.

საარჩევნო დავა სადამკვირვებლო ორგანიზაციების რეგისტრაციასთან დაკავშირებით

#1 საინფორმაციო ბიულეტენში ასახული იყო საარჩევნო დავა ა(ა)იპ „ცენტრი მომავლის ინიციატივებსა“ და მცხეთის # 27 საოლქო საარჩევნო კომისიას შორის.[1]

თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა „ცენტრი მომავლის ინიციატივების“ სააპელაციო საჩივარი და ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ ორგანიზაციას უარი ეთქვა მცხეთის N27 საოლქო საარჩევნო ოლქში დამკვირვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციაზე.[2]

თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები ემყარებოდა იმ დასაბუთებას, რომ სადამკვირვებლო ორგანიზაციის მიმართვის მომენტისათვის არ იყო დაწყებული წინაასაარჩევნო კამპანია, რის გარეშეც არ არის შესაძლებელი დამკვირვებელ ორგანიზაციად დარეგისტრირება. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ დამკვირვებელი ორგანიზაცია რეგისტრაციის გზით მოიპოვებს კონკრეტული არჩევნების მონიტორინგის უფლებას, მონიტორინგის უფლება კი ვერ იარსებებს საარჩევნო პროცესისგან განყენებულად, ვინაიდან რეგისტრაციის გზით მოპოვებული უფლების რეალიზება დამკვირვებელი ორგანიზაციის მიერ უნდა მოხდეს სწორედ კონკრეტული არჩევნების ფარგლებში. ამდენად, არჩევნების თარიღის განსაზღვრამდე, საარჩევნო კომისია ვერ იმსჯელებს დამკვირვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციაზე.[3]

თუმცა, კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობას არ დაეთანხმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე, ნათია ქუთათელაძე და აღნიშნულ გადაწყვეტილებას განსხვავებული აზრი დაურთო. მისი აზრით, როგორც ცესკომ, ასევე სასამართლომ, არასწორი შეფასება მისცა საარჩევნო კოდექსის მე-40 მუხლის მესამე ნაწილს და კანონის ამგვარი განმარტება, არ გამომდინარეობს კანონის მიზნების ლოგიკური განმარტებიდან. კერძოდ, კანონმდებელი აღნიშნული ვადის დაწესებით ვერ განსაზღვრავდა დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის საწყის ვადას, ვინაიდან საარჩევნო პროცესი, ისევე როგორც მისი შემადგენელი ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი - მონიტორინგი რამდენიმე ნაწილისგან შედგება, რომლებიც უნდა განვიხილოთ ერთიანი პროცესის შემადგენლად.

„...დემოკრატიული სახელმწიფოს რეალურ კონსტიტუციურ გარანტიას ხალხის მიერ, ხელისუფლების კონტროლი წარმოადგენს. ასეთი კონტროლი შეუძლებელი გახდება, როცა ადმინისტრაციული

---

[1] მცხეთის #27 საოლქო საარჩევნო კომისიისა და შემდგომში ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება დამკვირვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ „ცენტრი მომავლის ინიციატივების“ მიერ გასაჩივრებული იქნა თბილისის საქალაქო და შემდგომში უკვე სააპელაციო სასამართლოებში.

[2] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 18 ივლისის განჩინება საქმეზე N3ბ/1598-17, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება N??.

[3] დამკვირვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისთვის სასამართლო დაეყრდნო საარჩენო კოდექსის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილს, რომლის მიხედვითაც, რეგისტრაციაში გატარების მიზნით ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საარჩევნო კომისიას არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-10 დღისა და უნდა წარადგინოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტი/წესდება. ამ განმარტებით, დამკვირვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის ვადის ათვლა იწყება არჩევნების დღის გამოცხადების, ანუ წინასაარჩენო კამპანიის დაწყებიდან და სრულდება არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 10 დღისა.

ორგანოს - ცესკოს მიერ, კანონის არასწორი განმარტებით, დამკვირვებელ ორგანიზაციას, მისთვის რეგისტრაციაზე ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარის თქმით, შეეზღუდება ორგანული კანონით მინიჭებული უფლება, რომ დააკვირდეს საარჩევნო (და არა მხოლოდ კენჭისყრის) პროცესს, დაესწროს საარჩევნო კომისიების სხდომებს, კანონით დადგენილი წესით გასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, როგორც საჩივარის წარდგენაზე უფლებამოსილმა პირმა...“

„...არჩევნების პროცესის მონიტორინგი ყოველთვის გრძელვადიანი საქმიანობაა, რაც ვერცერთ შემთხვევაში ვერ განთავსდება იმ მოკლევადიან ჩარჩოში, რომელიც სადავო საკითხებთან დაკავშირებით, განსაღზვრა ჯერ ცესკომ, ხოლო შემდეგ სამოქალაქო სასამართლომ...“

სწორედ საარჩევნო ციკლის ბუნება და განგრძობითობის სტანდარტი განსაზღვრა ევროკომისიისა და დემოკრატიისა და საარჩევნო დახმარების საერთაშორისო ინსტიტუტმა (IDEA), რომლის მიხედვით, საარჩევნო ციკლის აქტივობები არ არის განყენებული და თითეული მათგანი უკავშირდება სხვა აქტივობებს იმ თვალსაზრისით, რომ რეგრესმა ერთი მიმართულებით შეიძლება ძლიერი გავლენა იქონიოს სხვა ღონისძიებებზე, ხოლო სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა მთლიანი საარჩევნო პროცესის შეფასებისას და რეკომენდაციების ფორმულირებებისას სწორედ ურთიერთდამოკიდებულებაში უნდა გაითვალისწინონ.[4]

ჩვენი შეფასებით, ცესკო და თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკმაოდ სახიფათო პრაქტიკას ამკვიდრებს სადამკვირვებლო ორგანიზაციად რეგისტრაციასთან დაკავშირებით, რადგან ასეთი განმარტების ფარგლებში საარჩევნო ადმინისტრაციის მთელი რიგი მოქმედებები, რომლებიც განხორციელებულია არჩევნების გამოცხადების თარიღამდე, რჩება დაკვირვების გარეშე. მაგალითისთვის, შეგვიძლია განვიხილოთ ამომრჩეველთა სიების, საარჩევნო ოლქების შექმნის, პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციის გამო სასამართლოში სარჩელის შეტანა და სხვ.

ამდენად, წინამდებარე ნორმების ამგვარი განმარტება არა მხოლოდ ეწინააღმდეგება საარჩევნო მონიტორინგის მიზნებს, არამედ სადამკვირვებლო ორგანიზაციების საქმიანობას უქმნის საფრთხეს, რაც საბოლოოდ უარყოფით გავლენას ახდენს საარჩევნო პროცედურების გამჭვირვალობაზე.

[4] დახმარების ეფექტურობის შესახებ 2005 წლის პარიზის დეკლარაციის პრინციპების გათვალისწინებით, ევროკომისიის და დემოკრატიისა და საარჩევნო დახმარების საერთაშორისო ინსტიტუტის (IDEA) ექსპერტების მიერ შეიქმნა საარჩევნო ციკლი, რომლიც მიზნად ისახავს, დაეხმაროს დაინტერესებულ მხარეებს გაიაზრონ საარჩევნო პროცესის ციკლური ბუნება.

მემორანდუმი ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების განმარტებაზე

თანაბარი წინასაარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით მნიშვნელოვანია საარჩევნო მიზნებისათვის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აკრძალვა.

სწორედ ამ მიზნით, 2017 წლის 29 აგვისტოს საიას, შვიდ არასამთავრობო ორგანიზაციას,

ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმზე ხელმოწერით საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეები შევთანხმდით, რომ წინასაარჩევნო აგიტაციასთან მიმართებაში, ასევე ადმინისტრაციული და სასამართლო საქმის წარმოების დროს, სწორედ მემორანდუმში მითითებული განმარტებებით ვიხელმძღვანელებთ, რაც ერთიანობაში ხელს შეუწყობს თანაბარი და სამართლიანი საარჩევნო გარემოს შექმნას 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის.

მიგვაჩნია, რომ საარჩევნო პროცესში ჩართულ ზემოაღნიშნულ უწყებებთან ერთად, მნიშვნელოვანია, სასამართლო ხელისუფლების მხრიდანაც, საქმეების განხილვისა და გადაწვეტილების მიღებისას გათვალისწინებული იქნას მემორანდუმში მითითებული განმარტებები.

საია არჩევნებში მონაწილე დამოუკიდებელ კანდიდატებს ეხმარება

თანაბარი და კონკურენტული საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით, საიასთვის მნიშვნელოვანი არის ყველა მონაწილე სუბიექტს ჰქონდეს ინფორმაცია საარჩევნო წესებისა და პროცედურების შესახებ.

ამ მიზნის მისაღწევად, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის საია დახმარებას უწევს დამოუკიდებელ კანდიდატებს. გარდა იმისა, რომ საიას ადვოკატები კონსულტაციას უწევენ დამოუკიდებელ კანდიდატებს, ასევე ორგანიზაციამ მოამზადა საინფორმაციო ბროშურები, რომლებიც აღწერენ დამოუკიდებელი კანდიდატების არჩევნებში მონაწილეობისთვის საჭირო წესებსა და პროცედურებს. აღნიშნული ბროშურები ხელმისაწვდომია ორგანიზაციის ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში.

პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობის აუცილებლობა

პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობისა და კანონიერების მონიტორინგის მიზნით, წინა წლების კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით , 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინიციატივით, შეიქმნა დროებითი საკონსულტაციო კომისია.

საია დადებითად აფასებს ინიციატივას და სხვა 15 არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად უერთდება კომისიის შემადგენლობას.

კომისიის მიზანია, ხელი შეუწყოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის გამჭვირალობის ზრდას პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგის თვალსაზრისით. ასევე, კომისიის შექმნით სადამკვირვებლო ორგანიზაციებს გვეძლევა შესაძლებლობა, უკეთ გავეცნოთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობას, დეტალურად ვიმსჯელოთ არჩევნებზე დაფიქსირებულ დარღვევებსა და სხვა პრობლემურ საკითხებზე და შესაბამისი რეკომენდაციებით მივმართოთ აუდიტის სამსახურს.

დარღვეული გენდერული ბალანსი : მერობის კანდიდატობის 59 კაცი და 2 ქალი

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფი გამოეხმაურა მედიით გავრცელებულ ინფორმაციას პარტია ,,ქართული ოცნების" მერობის კანდიდატების სიასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც პარტიამ მერობის 61 კანდიდატს შორის მხოლოდ 2 ქალი დაასახელა.

ამჟამად ადგილობრივ თვითმმართველობაში ქალთა წარმომადგენლობა უკიდურესად დაბალია (არ აღემატება 12%-ს), არც ერთი მოქმედი მერი არ არის ქალი და 59 პირდაპირი წესით არჩეული გამგებლიდან მხოლოდ ერთი გამგებელია ქალი.

პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის ზრდაზე განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია ხელისუფლებას და მმართველ პარტიას. პოლიტიკური პარტიების მხრიდან მერობის კანდიდატებად ქალების უკიდურესად მცირე რაოდენობით დასახელების ტენდენცია შემაშფოთებელია და ადასტურებს, რომ უგულვებელყოფილია საზოგადოების მოთხოვნა, უზრუნველყოფილ იქნას ქალისა და კაცის თანაბარი მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში. ამით, ასევე არ ხდება სახელმწიფოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება, რაც საფრთხეს უქმნის ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.

ორგანიზაციებმა მოუწოდეს ყველა პოლიტიკურ პარტიას, კანდიდატების და სიების საბოლოო რეგისტრაციამდე გაითვალისწინონ პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობა, 2017წ. თვითმმართველობის არჩევნებისათვის წარადგინონ გენდერულად დაბალანსებული სიები და უზრუნველყონ არჩევნებში სქესთა თანაბარი მონაწილეობა.

გენდერული თანასწორობის საბჭოს შეხვედრა გენდერული კვოტირების საკითხზე

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის მიზნით, 2017 წლის 12 ივნისს, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფის (Task Force) მიერ შეტანილ საკანონმდებლო ინიციატივაზე გენდერული თანასწორობის საბჭომ სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები, საიას და ინიციატივის ავტორი სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კანონპროექტის განხილვისას წამყვან კომიტეტად იურიდიულ საკითხთა კომიტეტი განისაზღვრა. კომიტეტის წარმომადგენლებმა იმსჯელეს კანონპროექტის მნიშვნელობაზე და გამოხატეს მზადყოფნა ცვლილებებზე სამუშაოდ.

ინიციატივის მიხედვით, ცვლილებები უნდა შევიდეს ორ ორგანულ კანონში - საარჩევნო კოდექსსა და კანონში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ. ცვლილებების მიხედვით, პარტიები და საარჩევნო ბლოკები ვალდებულნი იქნებიან საარჩევნო სია გენდერული თანასწორობის პრინციპის დაცვით დააკომპლექტონ და სიაში ყოველი მეორე განსხვავებული სქესის კანდიდატი წარადგინონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცენტრალური საარჩევნო კომისია პარტიას დაუბრუნებს სიას ხარვეზის აღმოსაფხვრელად, ხოლო ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, პარტია ვერ გაივლის რეგისტრაციას. იმ შემთხვევაში, თუკი არჩეულ წევრს რაიმე მიზეზით შეუწყდება დეპუტატის უფლებამოსილება, დეპუტატის მანდატს იმავე სქესის, რიგით მეორე, კანდიდატი მიიღებს.

„...ჩვენ ვგეგმავთ, რომ სამუშაო პროცესი, პირველ რიგში, ჩვენს კოლეგებთან დავიწყოთ. თითქმის ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია ამ იდეას მხარს უჭერს. შემოთავაზებული ცვლილება არ ეხება ოქტომბერში დაგეგმილ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ამ არჩევნებზეც პარტიებმა პოლიტიკური ნება გამოიჩინონ და მეტი ქალი კანდიდატი წარმოადგინონ საარჩევნო სიებში“, - აღნიშნა შეხვედრის მსვლელობისას ეკა ბესელიამ და მისი კანონპროექტის მხარდაჭერა დააფიქსირა.

ინკლუზიური საარჩევნო გარემო და პოლიტიკური უფლებების რეალიზება

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისას ინკლუზიური საარჩევნო გარემოს დაკვირვებისა და კვლევის ფარგლებში ქალების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური/საარჩევნო უფლებების რეალიზების კუთხით მთელი რიგი პრობლემები გამოიკვეთა:

- ✓ *პარტიები ნაკლებად ან საერთოდ არ ახდენენ ქალთა ნომინირებას მაჟორიტარ კანდიდატებად და პროპორციულ სიებში არ იკავებენ გამსვლელ ადგილებს;*
- ✓ *ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა ნაკლებად პოპულარული თემაა პოლიტიკურ პარტიებში და ხშირ შემთხვევაში ამაზე საუბარს თავს არიდებენ როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ დონეზე;*
- ✓ *გავრცელებული სტერეოტიპები და პატრიარქალური საზოგადოება უარყოფითად აისახება ქალების პოლიტიკურ გააქტიურებასთან მიმართებაში;*
- ✓ *ძირითადი პრობლემა, რომელიც შშმ პირები პოლიტიკური უფლებების შესწავლისას გამოიკვეთა არის ის, რომ ისინი აქტიურად არ არიან ჩართული საარჩევნო პროცესში. მართალია, მათდამი ყურადღება წინასაარჩევნო პერიოდში იზრდება, მაგრამ პოლიტიკური პარტიები მხოლოდ მანიპულირებენ ამ თემით და არჩევნების დასრულების შემდეგ აქტივობები აღარ გრძელდება;*
- ✓ *გარდა ამისა, პრობლემას ცნობიერების ხარისხი და ინფორმაციული ვაკუუმი წარმოადგენს პოლიტიკური უფლებებისა და საარჩევნო პროცედურების შესახებ;*
- ✓ *ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი, ენობრივი ბარიერი და პოლიტიკური აქტორებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის პოლიტიკური უფლებების რეალიზებისას.*

მნიშვნელოვანია, რომ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის პოლიტიკურმა პარტიებმა მხედველობაში მიიღონ წინა წლის გამოცდილება და თავიანთი საარჩევნო პროგრამების შედგენის დროს გაითვალისწინონ შშმ პირების, ქალებისა და ეთნიკური უმცირესობების შესაძლებლობები/საჭიროებები, რათა ხელი შეუწყონ ინკლუზიური საარჩევნო გარემოს შექმნას.

USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის წყალობით, რომელიც აშშ¬ -ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. საინფორმაციო ბიულეტენში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას და შესაძლებელია არ გამოხატავდეს USAID– ის და აშშ– ის მთავრობის შეხედულებებს.

THIS NEWS LATTER WAS MADE POSSIBLE BY THE GENEROUS SUPPORT OF THE AMERICAN PEOPLE THROUGH THE UNITED STATES AGENCY FOR INTERNATIONAL DEVELOPMENT (USAID). THE OPINIONS EXPRESSED IN THIS NEWS LATTER BELONG TO GYLA AND MAY NOT REFLECT THE OPINIONS OF THE DONOR.